ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 196

"22" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ორი ერთეული პრინტერის (მოდელი: xerox 3320) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და ა(ა)იპ - საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურ კავშირთან (ს/ნ: 203862864) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ორი ერთეული პრინტერის (მოდელი: xerox 3320) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და ა(ა)იპ - საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურ კავშირთან (ს/ნ: 203862864) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 29 ივნისის №25.04.539 განკარგულებით გათვალისწინებული მოძრავი ქონების: ორი ერთეული პრინტერის (მოდელი: xerox 3320) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე და შეთანხმდეს ა(ა)იპ - საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურ კავშირთან (ს/ნ: 203862864) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი